# საქართველოს ეროვნული სტანდარტი

## შესაბამისობის შეფასება.
## მომწოდებლის დეკლარაცია შესაბამისობის შესახებ

### ნაწილი 1: ზოგადი მოთხოვნები

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების
და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

თბილისი

## საინფორმაციო მონაცემები

1 **შემუშავებულია** TACIS-ის პროექტის პროგრამის "ევროსაბჭოსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" ხელშეკრულების (PCA) - Europe/125078/C/SER/GE 51-ე მუხლის შესაბამისად ტექნიკური კომიტეტის ტკ 50 "ხარისხის მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება" მონაწილეობით

სტანდარტს ჩაუტარდა ენობრივი ექსპერტიზა საქართველოს არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში

2 **დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ** საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 23 სექტემბრის №98 "ს" განკარგულებით

3 წინმდებარე სტანდარტი წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17050-1 : 2004 "შესაბამისობის შეფასება. მომწოდებლის დეკლარაცია შესაბამისობის შესახებ. ნაწილი 1: ზოგადი მოთხოვნები" ავთენტიკურ თარგმანს

4 **პირველად**

5 **რეგისტრირებულია** საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს რეესტრში: 2010 წლის 24 სექტემბერი №268-1.1-00252

წინამდებარე სტანდარტის სრული ან ნაწილობრივი აღწარმოება, ტირაჟირება და გავრცელება საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე არ დაიშვება

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| 1 | გამოყენების სფერო | 1 |
| 2 | ნორმატიული მითითებები | 1 |
| 3 | ტერმინები და განმარტებები | 1 |
| 4 | დეკლარაციის მიზანი | 2 |
| 5 | ზოგადი მოთხოვნები | 2 |
| 6 | დეკლარაციის შინაარსი | 2 |
| 7 | დეკლარაციის ფორმა | 3 |
| 8 | ხელმისაწვდომობა | 3 |
| 9 | პროდუქციის ნიშანდება | 4 |
| 10 | დეკლარაციის მოქმედების ვადის გაგრძელება | 4 |

| | | |
|---|---|---|
| დანართი ა | მომწოდებლის დეკლარაცია შესაბამისობის შესახებ | 5 |
| | ა.1 სახელმძღვანელო შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის ფორმის შევსების თაობაზე | 5 |
| | ა.2 დეკლარაციის ნიმუში შესაბამისობის შესახებ | 6 |


საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

**წინასიტყვაობა**

ისო (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) და იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) ქმნიან მსოფლიო სტანდარტიზაციის სპეციალიზებულ სისტემას. ეროვნული ორგანოები - ისო-ს ან იეკ-ის წევრები - ტექნიკური კომიტეტების მეშვეობით მონაწილეობენ საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაში. ეს ორგანოები შეიქმნა შესაბამისი ორგანიზაციების მიერ ტექნიკური საქმიანობის ცალკეულ სფეროებში სამუშაოების შესასრულებლად. ისო-ს ან იეკ-ის წევრ-კომიტეტებს აქვთ საერთო დაინტერესების სფეროები. სხვა სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები კი, რომლებიც თანამშრომლობენ ისო-სთან და იეკ-თან, ასევე მონაწილეობენ ამ სამუშაოებში. შესაბამისობის შეფასების სფეროში ისო-ს შესაბამისობის შეფასების კომიტეტი (კასკო) საერთაშორისო სტანდარტების და სახელმძღვანელოების შემუშავებაზეა პასუხისმგებელი.

საერთაშორისო სტანდარტები მუშავდება ისო/იეკ-ის დირექტივებით დადგენილი წესების მე-2 ნაწილის შესაბამისად.

საერთაშორისო სტანდარტების პროექტები კენჭისყრისათვის ეროვნულ ორგანოებს მიეწოდება. საერთაშორისო სტანდარტად გამოქვეყნებისათვის საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე ეროვნული ორგანოების ხმათა მინიმუმ 75%.

ყურადღება ექცევა იმასაც, რომ დოკუმენტის ზოგიერთ ნაწილს შეიძლება საპატენტო უფლებები ჰქონდეს. ისო და იეკ არ შეიძლება ჩაითვალოს პასუხს აგებდეს ნებისმიერ არარსებულ ან არსებულ საპატენტო უფლებებზე.

ისო/იეკ 17050-1 მომზადდა ისო-ს შესაბამისობის შეფასების კომიტეტში (კასკო).

ისო/იეკ 17050-1-ის პირველი რედაქცია, ისო/იეკ 17050-2-თან ერთად, აუქმებს და ცვლის ისო/იეკ-ის სახელმძღვანელოს 22:1996 "შესაბამისობის შესახებ მომწოდებლის დეკლარაციის ზოგადი კრიტერიუმები".

ისო/იეკ 17050 შედგება ორი ნაწილისაგან საერთო დასახელებით "შესაბამისობის შეფასება. მომწოდებლის დეკლარაცია შესაბამისობის შესახებ":

– ნაწილი 1: ზოგადი მოთხოვნები;

– ნაწილი 2: დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

## შესავალი

საერთაშორისო სტანდარტის მოცემული ნაწილი შემუშავებულია შესაბამისობის შესახებ მომწოდებლის დეკლარაციის მიმართ ზოგადი მოთხოვნების დადგენის მიზნით.

მასში განიხილება შესაბამისობის დადასტურების სამი ფორმიდან ერთი, კერძოდ, პირველი მხარის (ანუ პროდუქტის დამამზადებლის) მიერ წარმოდგენილი დადასტურება. სხვა ფორმებს წარმოადგენს მეორე მხარე (ანუ, როდესაც მომხმარებელი გასცემს დადასტურებას პროდუქტზე, რომელსაც ის იყენებს) ან მესამე მხარის დადასტურება. ამ სამი ფორმიდან თითოეული გამოიყენება ბაზარზე ობიექტის შესაბამისობაში დარწმუნების დემონსტრირების მიზნით.

ისო/იეკ 17050-ის მოცემულ ნაწილში დადგენილია მოთხოვნები, რომლებსაც იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი ცალკეული პირი ან ორგანიზაცია (მომწოდებელი), წარმოადგენს დეკლარაციას, რომ პროდუქტი (მომსახურების ჩათვლით), პროცესი, მენეჯმენტის სისტემა, ცალკეული პირი ან ორგანო შეესაბამება სპეციალურ მოთხოვნებს. ასეთ მოთხოვნებს შეიძლება მიეკუთვნოს ნორმატიული დოკუმენტაცია ისეთი, როგორიცაა სტანდარტები, სახელმძღვანელოები, ტექნიკური პირობები, კანონები და რეგლამენტები. ასეთი შესაბამისობის დეკლარაცია შეიძლება ეფუძნებოდეს ერთი ან რამოდენიმე პირველი, მეორე ან მესამე მხარის შეფასების შედეგებს. ასეთი დამოწმება არ შეიძლება გაგებული იქნეს როგორც მომწოდებლის პასუხისმგებლობის შესუსტება.

ეს ზოგადი მოთხოვნები გამოიყენება ყველა სექტორის მიმართ. მაგრამ შეიძლება ეს მოთხოვნები სპეციალური მიზნებისათვის ითხოვენ დამატებას, მაგალითად, ტექნიკურ წესებთან ერთად გამოსაყენებლად.

სპეციალურ მოთხოვნებთან პროდუქციის (მომსახურების ჩათვლით), პროცესის, მენეჯმენტის სისტემის, ცალკეული პირის ან ორგანოს შესაბამისობის შესახებ მომწოდებლის დეკლარაცია შეიძლება დადასტურებული იქნეს დამხმარე დოკუმენტებით მომწოდებლის პასუხისმგებლობის ქვეშ. ასეთ შემთხვევაში, სადაც ეს სასურველია ან აუცილებელია, მითითებას აკეთებენ ისო/იეკ 17050-2-ზე.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.